სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა

ხელის-მომწერნი და ზეპირ ლაპარაკზე დასწრებულნი მიბრძანდებიან რედაქციის დილი-10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიაში.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 3 მან. 50 კაპ.

!!მგზავრთა საყურადღებოდ!!
ახლად გაგსნილი ქართველ მგზავრთათვის
მორთული ოთახები
„აბაშა"
ტფილისში მეორე მალაკნის ქუჩაზე, მჭედლიძის სახლებში

ეს მორთული ოთახები მართლაც და მომარჯვებულსა და მოხერხებულს ადგილას არის მგზავრებისათვის; ტფილისის ვოგზალის მახლობლად და სწორედ კარებზე უვლის აგჭალის კონკა.

ოთახები საგანგებოდ და საუცხოვოდ არის მორთული და თან სუფთა, წმინდა და სინათლიანი. მოსამსახურე თავაზიანი და მარდი.

ფასი სამაგალითოდ იაფია
50 კაპიკიდან 1 მან. 50 კაპიკ. დღეში თვეობით უფრო იაფი.
დავშთები მარად პატივცემული ნიკო იოფურია. (10—6)

!!მგზავრთა საყურადღებოდ!!

!!მგზავრთა საყურადღებოდ!!

ვ. ბუნიას სტამბა
ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.
ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი


კეფირი და კუმისი


ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.
მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—31) ო. კორონა.

კვირას, 20 ივნისს, საღამოს 8 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მეორედ საგანგებო საზოგადო კრება ქართველთა საალებ მიმცემო ამხანაგობის „შუამავლისა"
კრებამ უნდა აირჩიოს ახალი თავმჯდომარე გამგეობისა ნაცვლად ადნიაშვილისა, რომელიც თავს ანებებს ამ თანამდებობას.
წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

ექიმი
კ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

გამოვიდა და ისყიდება
ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებსა და ეკკლესიებშიაც
ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამის
მარინესი
მეორედ გამოცემული მღვდლის რაჟდენ ბარამაძისა.
ფასი ერთი შაური. (10—7)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ძ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟის თვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ

## ახალი ამბავი

—

*** საზაფხულო პედაგოგიური კურსები ტფილისში. 16 ივნისს, პირველი გაკვეთილი საღმრთო-სჯულში მისცა სოფ. დაბლა საქარის (შორაპნის მაზრა) სამრევლო სკოლის მასწავლებელმა ბ. იოსებ ბარბაქაძემ, მეორე გაკვეთილი მისცა ანგარიშში სოფ. დელაურის (ქუთ. მაზრა) სამრ. სკოლის მასწავლებელმა ბ. ილარიონ წივწივაძემ და მესამე ქართულს ენაში მისცა სოფ. ვაყას (გორის მაზრა) სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა პეტრე მახარობლიძემ.

17 ივნისს, პირველი გაკვეთილი მისცა საღმრთო სჯულში ახალსენაკის სამრ. სკოლის მასწავლებელმა მთავარ დიაკონმა მ. ხოშტარიამ, მეორე გაკვეთილი რუსულს ენაში მისცა სოფ. ვარძიის (შორაპნის მაზრა) მასწავლებელმა ბ. სამუილ ანთაძემ, მესამე გაკვეთილი ანგარიშში ბამბორის (სუხუმის ეპარქია) მასწავლებელმა ბ. სვეტსკიმ და მეოთხე გაკვეთილი ქართულს ენაში მისცა სოფ. ქვედა-ილემის (შორაპნის მაზრა) ბ. ლუკა ფერაძემ. გაკვეთილების გარჩევა 16—17-შიაც იყო საღამოს 6-დან 8 საათამდე. ამ გარჩევებზე მოწონებულ იქმნა გაკვეთილები: ბ. ბარბაქაძისა, ბ. წივწივაძისა და მთავარ-დიაკვნის მ. ხოშტარიასი.

მოსაწონი იყო აგრეთვე ბ. ლუკა ფერაძის გაკვეთილი, რომლის ნაკლად ჩაითვლება მხოლოდ იმერულ კილოებზედ ბავშვებისათვის გაუგებარ სიტყვების ხმარება. ბ. მახარობლიძისა კი უფრო მოსაწონი იყო ლექსების: „კატა და ბულბული" და „ილოცე ბავშო" წაკითხვა.

ონისიმე.

*** ქალაქის ქუჩებზე. ტფილისში რომელ ქუჩას გაივლის კაცი,

რომ რაიმე სამწუხარო არ ნახოს. ჩულურეთში ეფინჯიანცის ქარხნის წინ მუდამ დღე დგას ერთი საბრალო შიშველი კაცი, რომელიც გამვლელს სთხოვს მოწყალებას. შემოსჩვევიან ბიჭ-ბუჭები და მოსვენებას არ აძლევენ, აბა ესა და ეს ლექსი სთქვიო. ამაზე გააბამს ხოლმე საწყალი საშინელ ყვირილს და არვინ არის, რომ მოაცალოს ეს ბიჭ-ბუჭები.--ამაზე საცოდავი სანახავი ვაგზალშია, სადაც ცხენის რკინის გზის ლიანდაგი იწყება. საშიშრად ნახავთ ერთ კაცს, რომელსაც ნახევარი პირის სახე მომპალი აქვს; კბილები და ენის ძირი მთლად ღია უჩანს, ბარემც მატლები ესევა. როგორც ეტყობა უპატრონოა და გარეშე კი არავინ არ აქცევს ყურადღებას, აი კიდევ საბრალო სანახავი. ქალების ინსტიტუტის წინ შეხვდებით ერთს ჰკუაზედ შეშლილს ქალს, ეს ქალი სულ სჩუხს და ვილასაც ედავება და ეჩხუბება, ეხვევიან ამ საცოდავს ქუჩის ბიჭები და აჯავრებენ. იმასაც გული მოსდის და ქვით იგერიებს ხოლმე—ამას წინათ ერთს ბავშვს თავში ქვა ესროლა და კინაღამ სული გაანთხევინა. აქ ახლოს გოროდოვოი რომ იდგეს, ისიც არ აქცევს ყურადღებას, ეს დალოცვილები პირიქით პირველ დანახვისათანავე გაურბიან, მეტი დრო არ დავკარგოთ.

ვ. ტროსტიძე.

⁂ ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ 16 და 17 მაისს ამ წლისა მუშტაიდში გამართულის სახალხო სეირნობისა და ბაზრობის შესავალ-გასავლისა:

შემოვიდა: შესვლის ბილეთების გაყიდვით 713 მ. 80 კაპ., ნივთების გაყიდვით 1536 მან. 34 კ., კონფეტის, სათამაშოების და ფონოგრაფის შემოსავალი 131 მან. 85 კაპ. და შემოწირულობანი 185 მ., სულ 2566 მან. და 99 კ.

დაიხარჯა: ნივთების შეძენასა და დამზადებაზე 672 მან. 94 კაპ. მუზიკის ორ ხოროზე 85 მ. ზურნაზე 10 მან., განათებაზე 55 მან., განცხადებასა და აფიშებზე 44 მ. 25 კაპ., ფონოგრაფსა და სათამაშოებზე 19 მ., მარკებზე 60 მ., თაიგულებზე 10 მ., ბალის ქირა მოიჯარადრეს 100 მ., კარავებისა, ჰურჭლისა და სხვა ნივთების ქირა 32 მან. 50 კაპ. და სხვა ხარჯი 77 მ. 78 კ., სულ 1157 მან. და 47 კაპ.

დარჩა წმინდა შემოსავალი 1409 მ. 52 კ.

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა მოვალედ სთვლის თავის თავს გამოუცხადოს ღრმესი მადლობა ყველას, ვინც დახმარება აღმოუჩინა სეირნობისა და ბაზრობის გამართვაში ნივთებისა და ფულის შემოწირვით, გაზეთებში უფასოდ განცხადებათა დაბეჭვდით და პირადის შრომით.

⁂ **ახალ სენაკი. ფულის მსხვერპლი.** 16 ამ თვეს, ახალ სენაკიდან ს. ხონში აბრეშუმის პარკის მყიდველი ბერძენი იანკო გრიგორიანდი მიდიოდა მარტოდმარტო ეტლითა, საათის 9—10 იქნებოდა დილისა, ახალ-სენაკიდან 6—7 ვერსზე საზოგადო საეტლო გზაზედ, სამი თუ ოთხი კაცი ტყადგან გამოხტა და დაუწყეს ბერძენს ფულის თხოვნა, პირველში ბერძენმა წინაამდეგობა გაუწია, მაგრამ ხედავდა ვერაფერს გახდებოდა დ უთქვამს მე ფული არა მაქვსო" ამოუღია 15 მანეთიანი ოქრო და მიუცია ბოროტ-მოქმედისთვის, ესენი ამას არ დასჯერებიან, დაუციათ რევოლვერი, და მოუკლავთ. შეშინებული მეეტლე ახალ-სენაკში მოვიდა, და ეს ამბავი ადგილობრივ ადმინისტრაციას გამოუცხადა. ადმინისტრაცია ჩაფრებით და ექიმით იმავე წამსვე მიიჭრენ იქ, სადაც ეს ამბავი მოხდა, ბერძენს აღმოუჩნდა 3000 მანეთზე მეტი მიკერებული პერანგზე, ქურდებს მხოლოდ წაელოთ უბის წიგნი, რომელიც ფულად მოსჩვენებიათ, პოლიცია მხნედ შეუდგა ქურდების აღმოჩენას, მაგრამ ჯერ არაფერი არ გაუგიათ.

ტელეფონი

⁂ **ს. დვანი** (ფრონის ხეობა). **ნიაღვრით გაწვალებულნი.** ეს სოფელი მდებარეობს ორ მთის შუა: აღმოსავლეთის მხრივ, მთისა და სოფლის შუა მოდის მდ. ფრონე, დასავლეთის მხრივ მოსილი ბუჩქნარით მთა თავდება ძირში დაქანებული ვაკით; ამ დაქანებულ ვაკეზე დაფენილია სოფელი დვანი; თითქმის შუა სოფელში ჩამოდის პატარა წყალი, რომელიც შესდგება წყაროებიდან; დასავლეთის მხრივ მდიდარია წყაროებით, ზოგი წყალი გზაზედვე იფანტება და და ზოგიც ჩამოდის, როგორც ზემოთ ვთსქვი, თითქმის შუა სოფელში და სოფლის ბოლოს ერთვის ფრონეს. როგორც გამიგია მოხუცებულებისაგან, ეს მთები ყოფილა შემოსილი გაუტეხელი ტყეებით და შეეძლოთ დიდ წვიმა-ავდარში შეეყენებინათ მთებიდან მოვარდნილი ნიაღვრები; ახლა კი, როდესაც ეს მთები ისეა გაწმენდილი ოსებისაგან, რომლებსაც აყენებენ აქაური თავადები, რომ ფრინველებსაც კი აღარ შეუძლიანთ თავი შეაფარონ, დიდ წვიმა-ავდარში მოვარდნილ ნიაღვრებს აქვთ გახსნილი გზა, მიდიან ისეთი ღონივრათ, რომ რაც წინ დახვდებათ სულ თან მიაქვთ; ამისთანა ამინდში მოვარდება ხოლმე სოფლის პატარა წყალი სახელათ ტილიანა*) და თან მოაქვს ზემო მცხოვრებელ ოსებიდან ყავრები, საბძლები, ჯიხურები, დარჩენილი გარეთ საქონელი და სხვ. დასავლეთის მთიდან მოვარდნილი ნიაღვრები, ადიდებული ტილიანა მოედებიან ხოლმე ამ საფელს და ისე გარეცხავენ საცოდავს გლეხკაცებს, რომ არ იციან რის მოშენებას შეუდგნენ ხელ-ახლათ ნიაღვრების შემდეგ: ვენახისას, სახლისას, საქონლისას, წვრილფეხისას, ჰირნახულებს ხომ ისე მოწმენდავს ხოლმე, ნიმუშიც არ დარჩება, სადაც მიუდგებიან ეს ორთავე განრისხებული ბატონები. იმ წლის მოსავალს ვიღა სჩივის, ნეტა საკვლავოთ გამოდგეს მამული: ზოგი სრულიად წალებულია, ზოგი დიდრონი მთის ლოდებით დარიყული ისე, რომ გლეხკაცი იძულებული ხდება ამას თავი ანებოს და სხვა ადგილას მოჰკიდოს ხელი, მაგრამ სხვა ადგილი კი გახლავთ? დაწვრილებით აღწერას არ შეუდგები, რა შედეგი მოაქვს საცოდავ ქვრივოხერ გლეხკაცისათვის საზოგადოთ ყველგან ნიაღვრებს და განსაკუთრებით სოფელში, თუ ამას დაემატება სეტყვაც, მაშინ კი გაბედვით შეგვიძლიან ყველა დვანელ გლეხკაცს მოავლოთ ხელი და სთქვათ: ამ კაცს აბადია ეს რასაც ჰხედავთ ე. ი. ხორცი და სული. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ეს სული და ხორცი მოაკლდება ხოლმე სოფელს. ამ სამი წლის წინათ დიდი ნიაღვრები რომ მოვარდნენ, თვალდაუხედავათ არ დაგდეს ეს სოფელიც, ადიდდა მაშინ ტილიანაც და იმსხვერპლა საცოდავი გლეხკაცის ცოლი, რომელსაც უნდოდა ბოსელში შევარდნილი წყლისაგან გადაერჩინა თავისი სკივრი: ერთბაშათ მოვარდნილმა წყალმა მოიტივტივა სკივრიანათ საცოდავი დედაკაცი, გამოიტანა ბოსლიდან, მიეშველნენ ტილიანას ზვირთებიც და შესაბრალებლათ შთანთქეს საბრალო სოფიო ბლიაძისა. მიეშველა ხალხი, მაგრამ ამაოდ; მხოლოდ ის იპოვეს მეორე დღეს სოფლის ბოლოს დამხრჩვალი და ლობეში გაჭედილი, სხეული ისე დაჩეჩქოდა, რომ ვერც კი იცნეს.

ამისთანა სურათის მოწამე ვიყავი მე ორს თიბათვეს: დილის 9 საათიდან ატყდა საშინელი ღონიერი დასავლეთ-ჩრდილოეთის ქარი, როგორც უწოდებენ ჩვენში „ზენა ქარი", თან მოიტანა შავი ღრუბლები; დაბერტყა, დაამტვრია ხეხილი და ვაზები; დაბნელდა დღე. ერთბაშათ პირველ საათზე ატყდა ჭექა-ქუხილი, დაეშვა წვიმა კოკისპირული, თანაც მოჰყვა ხოშკაკალა; მოდიოდა საღამოს ხუთ საათამდინ, მერე იკლო და მეორე დღემდინ აღარ გადუღია. რა წამს დაიწყო ქუხილი, ყველა სოფელში მყოფი შეეფარა თავის ჭერს. დარჩნენ მხოლოდ მწყემსები გარეთ, ახლო-მახლო მყოფი მუშა ხალხი სანამ დაბრუნდებოდა და გავიდოდნენ გალმა გამოღმა, ეს პატარა სოფლის წყალი, ტილიანა დახვდათ ადიდებული ისე, რომ კაცი ველარ გავიდოდა, ამიტომ ყველამ თავი შეაფარა ამ ავდარს, სადაც, როგორც შეეძლო.

პატარა ხნის შემდეგ ატყდა სოფელშიც წივილ-კივილი; ამაზედ გამოცვივდა ხალხი გარედ, გამოვვარდი სახლიდგან მეც; თქვენმა მტერმა ნახოს რა საშინელი სურათი დავინახე: მოვარდნილ ტილიანას ზვირთებს მოაქვს ბელელი, ძარი, გოდრები, დიდრონანი ძირიანათ დაგლეჯილი ხეები, სახლის ბოძები; ჭერები, საქონელი, საქონელს ვილა სჩივის, აგერ მოაქვს აკვანში გადაკრული ბავშვი, მაგრამ ვინ მიუდგება, რომ უშველოს; ეს სულ ჩამოატარა ზემო ხეობის სოფლებიდგან, მოეცა ახლა დვანს ტილიანა და დასავლეთი მთის ნიაღვრები; ყველა სახლს ეთამაშება წყალი და ისრულებს წადილს: ერთიდგან გამოაქვს წილ-კრუხი, მეორედგან ხბორები, ავეჯსა და სხვა სარჩოს ხომ რიცხვი არა აქვს, ზოგმა გადაანარჩუნა მარტო თავის სული, გაევსოთ სახლები, საბძლები ბოსლები, პადვლები წყლით, სადაც კი მიუდგებოდა წყალი ყველგან შეისრულა თავის წადილი; საცოდავ ავადმყოფების უბედურებას ხომ ველარ ასწერს კაცი; მოუტივტივებია ერთ სახლში შევარდნილ წყალს მელოგინე ტახტიანათ და რადგანაც ამ ჟამად იმასთან მყოფ დედაკაცს მიუხურია მაგრა კარები, გადაურჩა ტილიანას ზვირთებს, მაგრამ თქვენი მტერია როგორც ის არის ეხლა. ვერ ასწერს კაცი ამ სოფლის საცოდაობას, აღარ გადარჩა ამის ხეობაზედ ვენახი, ნახნავები მიწები; წრეულს საწყალ გლეხკაცს რაც დააკლო რწყილმა, რომელმაც შეჭამა ქერები, ის შეუსრულა ორს ამ თვეს ნიაღვრებმა და ტილიანამ; როდესაც ამ ტილიანამ შეისრულა წადილი, ჩამოწყდა მესამე დღეს და დაუზარებლათ დაიწყეს ისევ, თითქო დაცინვით, ჩვეულებისამებრ გადარჩენილმა კრუხ-წიწილამ გასვლა გამოსვლა.

ლ. ჭ.

*) ვერ გავიგე რისთვის ჰქვიან ამ პატარა წყალს ტილიანა, მე მგონია იმიტომ, რომ ამ წყალმა საშინლათ ბლომათ იცის წყლის ჰია-ღუა.

*** **ს. ხალხინო.** (სენაკის მაზრა) პუშკანას დღეობა. 26 მაისს ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლაში გამართულ იყო ა. ს. პუშკინის დღესასწაული სახსოვრად, რომელმაც საზოგადოება მეტის მეტად ასიამოვნა; შეგირდების მიერ წაკითხული იქმნა ა. ს. პუშკინის ლექსები, და სხვა. ამ სკოლაში მოთავსებულია მშვენიერი პატარა ბაღი, რომელშიაც შემდეგ გამართული იყო თამაში და სადაც საზოგადოება ბევრი დაესწრო· ხკოლა შემკობილი იყო სხვა და სხვა ნაირის ფოთლებით და თვით ა. ს. პუშკინის სურათიც იყო შემკული მშვენიერს ყვავილში, რომელსაც საზოგადოება დიდს ყურადღებას აქცევდა. მასწავლებელმა ბნ-მა იოსავამ აუხსნა საზოგადოებას გამოჩენილი პოეტის ნაწერები. მასწავლებლის გადმოცემაზედ ყველანი კმაყოფილი დარჩნენ და მადლობა გამოუცხადეს ბ. მასწავლებელს. საზოგადოება დაიშალა საღამოს 8 საათზე.

— მიწის გასკდომა და სახლის ჩანგრევა. ამა საზოგადოებაში არის ს. კურზუ. 24 მაისს ამ სოფლის მცხოვრები გლეხი ხახუ იოსიკას ძე ბერუავა, რომლის ეზო-ადგილი ღამით გასკდა და ორ ქცევამდე ადგილი დაიქცა, ასე რომ გარდა ერთი სახლისა სულ ერთიანად დაიქცა. საშიშია, რომ დარჩენილი შენობაც დღეს თუ ხვალ დაიქცევა. ღვთის მადლით, კაცი არავინ დაღუპულია ბერუავას ცოლშვილი გაბარებული ჰყავს, რადგან იქ ბადგომას ვერ ბედავს, ეს გარემოება შეატყობინეს ადგილობრივ პოლიციას და იგი რაც შეიძლება ზომას ღებულობს.

ევგენი გოგინავა

*** **დ. ახალ-სენაკი.** ქუჩების უსუფთაობა-უვარგისობა. სადაც გინდ გაიარო, ყოველგან ქუჩებში უსუფთაობაა. წარმოიდგინეთ, რომ ისეთი ბინძური სუნი სდგა თითქმის, ყოველ ქუჩებში, რომ კაცს არ გაევლება, ან და იძულებულია ცხვირსახოც აფარებული წავიდეს სადმე. მაგრამ სად უნდა წავიდეს, როცა ყოველგან ასეთი უწმინდურებაა, აგრეთვე ქუჩებზე ჰყრია იქვე გორიდგან მოტეხილი და მოტანილი ქვები, ვითომ და ქუჩების მოსაკენჭავად, მაგრამ გასაკვირველი კია, რომ როგორ მოხერხდება იმისთანა ვეებერთელა ქვების მოყრა ქუჩებში, იმისთანა ვებერთელა ქვებს ქუჩებზე კი არა სახლებს არ გაუკეთებენ გაუტეხლად. სასურველია ყურადღებას მიაქცევდნენ ამას, მით უმეტეს, რომ ამ თვის დამლევს აქ მარულა და დიდი ჯარიანობა იციან და ძლიერ სასირცხოა.

[illegible]

*** **ს. პატარძეული.** სამრევლო სკოლის დაარსების გამო. გაზეთ „ცნ. ფურც.“ში № 822 დაბეჭდილი იყო საგარეჯოდან წერილი, რომელშიაც „სათაველი“ სხვათა შორის სწერს: როგორც სჩანს ოთხ კლასიანი სამრევლო სკოლა უნდა დაარსდეს ს. პატარძეულში, რადგანაც ესენი თანახმანი არიან აღმოუჩინონ სკოლას ყველაფერი შემწეობა, მაგრამ საუბედუროთ პატარძეულში ჰაერი ციებ-ცხელებიანიაო და წყაროც სრულებით არ იმყოფებაო. ბ-ნი „სათაველი“ ნეტა რასა გრძნობდა, როდესაც ს. პატარძეულს ციებ-ცხელებიანი უწოდა. ძალიან კარგად იცის „სათაველმა“ რომ პატარძეულის მშვენიერი მარგებელი ჰაერი და სალი წყალი გათქმულია ივრის ხეობაში და ესეთი ჯან-სალი ხალხი, როგორც პატარძეულში, ცოტაა ჩვენ მხარეს. სამწუხაროა, სწორედ როცა კაცი განზრახ ტყუილს ამბობს. ნუ თუ ჰაერის დამცირებით უნდა ბ. „სათაველს“ აეცილებინა სკოლის დაარსება ს. პატარძეულში? თქვენ ბ. „სათაველო“ უნდა კარგად გახსოვდეთ, რომ ნიაღვრებში წლეულ თითონ პატარძეულელები გადმოვიდნენ საგარეჯოში იმ აზრით, რომ უკანასკნელი ღონისძიება ეხმარათ და როგორმე შეეგულიანებინათ გარეჯელები სკოლის საქმეზე, მაგრამ ერთხმათ ყველა გარეჯელი იძახდა—ადგილი არა გვაქვსო და თანაც ვითომ სწუხდნენ, სხვა მაზრაში რათ გადააქვთ სკოლაო. ყველა ამის შემდეგ ბატონებო რა საკვირველი იყო, რომ პატარძეულელებმა ყველა შემწეობა აღმოუჩინეს სკოლის დასაარსებლად სოფ. პატარძეულში. ოღონდ იმ ხეობაში დაარსებული იყო; რამდენიმე საკმაო ადგილები დაიკვეთეს სასკოლე და საბაღო; თვითონ აქაურმა მცხოვრებლებმა აზ. ბილანიშვილებმა ოთხ-ხუთ ალაგას დაუთმეს საკუთარი კარგი სარწყავი მიწები არა ნაკლებ სამ და ოთხ დესეტინაზე. პატარძეულელები დიდათ ვწუხვართ, რომ ამ უმთავრეს ადგილს მაზრისას, ს. საგარეჯოს, როგორც თითონ ბ. „სათაველი“ სწერს, იმ ათას ხუთას კომლში, არ გამოჩნდა ვინმე ჩამგონებელი ამ კეთილი საქმისა, და სრულად გაჩერდნენო. საკვირველია ღმერთმანი განა ბ. „სათაველს“ არ უნდა ესმოდეს სკოლის სარგებლობა და არ უნდა უხაროდეს ჩვენ ხეობაში, პატარძეულში იქმნება თუ საგარეჯოში დაარსებული სკოლა, დიდი ბედნიერება არის, ოღონდ სხვა მაზრაში ნუ გადაიტანენ!? მაშ გავჩუმებულიყავით პატარძეულელებიც, რომ სკოლა სხვაგან დაეარსებინათ. [illegible]ლები სადმე ადგილის ყიდვას და ფულს თურმე ჰკრებენ კიდეც. ღმერთმა ბრძანოს, ჩვენ სრულიად გავჩუმდებით და ყველა შემწეობას აღმოუჩენთ გარეჯელებს სკოლისათვის, ოღონდ იმათ გამოიღვიძონ.

მთავრობამ ექიმი იაშვილის თხოვნით თავ და პირველათ საგარეჯოს მისცა უპირატესობა სკოლის დასაარსებლათ და ეგება მთავრობამვე დააბოლაოს კიდეც. დიდათ პატივსაცემი და სასარგებლო კაცი იყო ივრის ხეობისთვის, განსაკუთრებით გარეჯელებისათვის, ექიმი ბ. იაშვილი, რომელიც ჩვენ და სამწუხაროთ გადაიყვანეს ქ. დუშეთში, თორემ ის ამ სკოლის საქმეს ესე არ მიანებებდა თავს და აქამდინ დააბოლოვებდა კიდეც იმის დაარსებას საგარეჯოში იმანვე გაუმართა ფოშტა გარეჯელებს, იარმუკა და ბევრი სხვა კარგი საქმეები გვახსოვს იმისი.

მთელ ივრის ხეველებს უფრო გარეჯელებს და პატარძეულელებს მუდამ ტკბილი ნათესაობა და მეზობლობა გვაქვს ერთმანეთში; ყველა საქველ-მოქმედო და საზოგადო საქმეებში, თითქმის უმთავრეს მნიშვნელობას მუდამ პატარძეულელები იღებენ ხოლმე და მიკვირს ეს ბ. „სათაველი“ რა მოგებაში იქნება თავის ტყუილებით, რომ აიშოროს პატარძეულელები.

პატარძეულელი.

## ყურმოკრული საუბარი

— მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რა გაჩუქოთ მე თქვენ ჩემს სახსოვრად?—ჰკითხა ვაჟმა თავისს ნაცნობ ქალსა.

— თუ გსურთ, რომ იმ საჩუქრის დანახვაზედ ყოველთვის თქვენ მოგაგონოთ ხოლმე, მაიმუნი მაჩუქეთ,— მიუგო ქალმა.

***

ცოლი ეუბნება ქმარსა:

— რატომ არ გინდა მომენდო და მითხრა ხოლმე შენი საიდუმლოება?

— იმისთვის, რომ არც ერთს დედაკაცს არ შეუძლიან საიდუმლოების შენახვა, გარდა ერთის რამისათ!

— რისა?

— იმისა, თვითონ ის რამდენი წლისაა.

## სამეურნეო ცნობა

მცენარეთა მეცხოველება (ბოტანიკა)
(შემდეგი *)

ადრეველცის რიგზედ ვარდის სახელები, რომლებიც გამოსადეგნი არიან ადრეული გამრავლებისათვის (для ранней выгонки).

| № | ვარდების სახელები. | წელიწადი მოშენებისა. | თვე ყვავილისა. |
|---|---|---|---|
| 95 | ტ. გლოარ დე დიჟონ. | 1853 | მარ. |
| 96 | ტ. გრეს დარლინგ . | 1879 | „ |
| 97 | რ. გარნს მაკარტ . | 1881 | „ |
| 98 | ბ. გერმოზა . . . | 1840 | „ |
| 99 | რ. გენრიხ შულტეის . | 1875 | „ |
| 100 | ტ. გონთრანდ გეორგ ბანკროფტ. . . . | 1879 | „ |
| 101 | რ. ჟაკ ლაფიტ . . | 1846 | „ |
| 102 | ტ. იდა . . . . | 1850 | „ |
| 103 | რ. ჟან ლიაბო . . | 1875 | „ |
| 104 | ტ. ჟან პერნე. . . | 1871 | „ |
| 105 | ტ. ჟან დიუშე . . | 1869 | „ |
| 106 | ტ. ინოსენტა პიროლა | 1878 | „ |
| 107 | რ. ინოსენტა პიროლა | 1888 | „ |
| 108 | რ. დჟონ გოპპერ . | 1862 | „ |
| 109 | რ. იულიუს ფენგერ . | 1877 | „ |
| 110 | რ. ჟიულ მარგოტინ. | 1850 | აპრ. |
| 111 | ტ. ჟიულ მონკარ . | 1862 | მარ. |
| 112 | რ. იოსიფ შაპპაი . | 1859 | „ |
| 113 | ტ. იზაბელლა სპრიუნტ | 1865 | თებ. |
| 114 | რ. კეტ გაუსბურგ . | 1864 | მარ. |
| 115 | ტ. ლა ბულ დ'ორ . | 1861 | „ |
| 116 | რ. ლა ბრილლიანტ . | 1862 | აპრ. |
| 117 | რ. ლა ფრანს. . . | 1867 | თებ. |
| 118 | ტ. ლა ჟონკილ . . | 1871 | „ |
| 119 | რ. ლა ნეჟ . . . | 1870 | მარ. |
| 120 | რ. ლა რენ . . . | 1843 | „ |
| 121 | რ. ლე ლიონ დე კომბა | 1851 | „ |
| 122 | ტ. ლა პრინცეს ვერა. | 1866 | „ |
| 123 | ტ. ლა ტიულინ . . | 1856 | „ |
| 124 | ტ. ლე ხანკინ . . | 1860 | „ |
| 125 | ტ. ლაურა ფონტან . | 1857 | „ |
| 126 | ტ. ლაის . . . . | 1860 | „ |
| 127 | ტ. ლედი მერი ფიცვილიამ . . . . . | 1882 | თებ. |

არჩილ დარეჯანაშვილი
(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 845

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).
16 ივნისი

**პეტერბურგი.** 16 ივნისს ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული უავგუსტოესის ყრმებით გატჩინოდგან ახალ პეტერგოფში გადავიდა საცხოვრებლად.

**პარიზი** რუსეთის ახალშენი, საფრანგეთის უმაღლესი საზოგადოება და ჟურნალ-გაზეთები მხიარულებას აცხადებენ ხელმწიფე იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულის მშვიდობით მორჩენის გამო.

**პარიზი.** დღეს, დილით, ხმლებით ერთმანეთთან დუელში გავიდნენ მილვუა, და ბერტო. უკანასკნელი დაიჭრა ლოყაში. მოწინააღმდეგეებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს იქ, სადაც დუელი ჰქონდათ.

**სარაგოსა.** უწესოება განახლდა. კონსტიტუციის მოედანზე ჯარი იძულებულ იყო თოფები დაეშინა ხალხისთვის. ერთი მოკლულ იქმნა, ორი დაჭრილია. 1[illegible]

[illegible]

**რენი.** აი სია სამხედრო სასამართლოს წევრთა: ინჟინერ-პოლკოვნიკი ჟუე—თავმჯდომარე; არტილერიის მაიორები: ბრონვარი, ბრეონი, პროფილე, მერლი, კაპიტნები—პარფე და ბოვე—წევრები.

17 ივნისი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა წარსული დღე-ღამე კარგად გაატარა; ძილი მშვიდობიანი აქვს, მაჯა წესიერად უცემს ახლად შობილიც ჯან-მრთელად არის.

**რენი.** ქ-ნი ლუისი დრეიფუსი მოვიდა აქ დღეს საღამოს.

**კობურგი.** გოფმარშალმა შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა: „რადგან ლონდონის გაზეთის „Dailu Mail“-ის ბერლინელი კორესპონდენტი განაგრძობს იმის დამტკიცებას, რომ ვითომ ჰერცოგს განზრახვა აქვს ტახტი უარჰყოს, მე მონდობილი მაქვს სრულიად უარ-ვყო ეს ხმებიო“.

**— პეკინი.** რადგან ბელგიელთა ვაჭრობა ჩინეთში თან და თან ძლიერდება, ჩინეთის მთავრობამ გარდასწყვიტა ბრიუსელში მისსია დაარსოს.

# განცხადებანი


# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеній.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.** (100—35)

## подписная цѣна на газету „СВѢТЪ“

## СЪ „ПРИЛОЖЕНІЕМЪ РОМАНОВЪ“

**СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ И ДОСТАВКОЮ:**

**На четверть года:**

съ 1 января по 1 апрѣля
« 1 апрѣля по 1 іюля
« 1 іюля по 1 октября
« 1 октября по 31 декабря . . . 2 р.

**На полгода:**

съ января или съ 1 іюля . . . . . . **4 —**

**На девять мѣсяцевъ:**

съ 1 апрѣля . . . . . . . . . . . . **6 —**

**На годъ:**

съ 1 января . . . . . . . . . . . . **8 —**

**На иные сроки подписка не принимается.**

ПРИМѢЧАНІЕ. Подписка на «Приложеніе Романовъ» къ газетѣ «СВѢТЪ» принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи «Приложеніе Романовъ» не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ «Приложеніемъ».

**Адресъ Редакціи: спб. Невскій, 138.**

Редакторъ-Издатель **В. В. Комаровъ.**

!!მიაქციეთ ყურადღება!!

# ჩინეთის მაღაზია

**დ. ფ. დემენტიევისა**

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.

**იმემეთ ჩაი** პირველი მოკრეფისა 1898 წლისა მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად და პარტიობით**

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანეთზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

**საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი**

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნიშნობებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—40)

# РОССІЯ

## ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на ГАЗЕТУ „РОССІЯ“

| | съ пересылкою въ россія р. | к. | съ пересылкою за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 12 | — | 24 | — |
| » 11 мѣсяц. . | 11 | 10 | 22 | 20 |
| » 10 » . . | 10 | 20 | 20 | 40 |
| » 9 » . . | 9 | 30 | 18 | 60 |
| » 8 » . . | 8 | 40 | 16 | 80 |
| » 7 » . . | 7 | 50 | 15 | — |
| На 6 мѣсяц. . . | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 5 » . . | 5 | 70 | 11 | 40 |
| » 4 » . . | 4 | 80 | 9 | 60 |
| » 3 » . . | 3 | 90 | 7 | 80 |
| » 2 » . . | 3 | — | 6 | — |
| » 1 » . . | 1 | 60 | 3 | 20 |

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:**

Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія (Невскій № 86).

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ: для служащихъ—по третямъ чрезъ ихъ казначеевъ: неслужащіе же могутъ обращаться съ своими заявленіями въ С. Петербургѣ (Невскій № 86).

За перемѣну адреса уплачивается 40 коп. Отдельные нумера газеты «Россія» продается по 6 коп.

**ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІЙ:**

Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 коп позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 ч. до 6 часовъ по полудни: редакція газеты открыта съ 1 часу пополудни до 10 часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневно отъ 2 до 5 часовъ пополудни.

Доставляемыя въ редакцію статьи должны быть за подписью и съ адресомъ, автора, безъ чего онѣ печатаемы не будутъ. Статьи, доставляемы безъ обозначенія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи не возвращаются.

**ЗАВѢДУЮТЪ ОТДѢЛАМИ:**

1) Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: Г. П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А. В. Амфитеатровъ.
3) Научнымъ: профессоръ П. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностраннымъ: Л. Ю. Гольштейнъ.
6) Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ. Соловьевъ и Я. А. Рубинштейнъ.
7) Художественнымъ: И. Ф. Порфировъ.
8) Хроники: А. Н. Чермный.
9) Провинціальной хроники: М. В. Головинскій.
10) Театральной хроники: Ю. Д. Бѣляевъ.
11) Московскимъ: В. А. Гиляровскій.

Общественный фельетонъ—по воскресеньямъ—Old Gentleman.

Провинціальный фельетонъ—по субботамъ—В. М. Дорошевичъ.

По средамъ печатается «Милліонеръ» повѣсть В. Г. Авсѣенко.

Постоянный корреспондентъ въ Парижѣ: А. П. Плетневъ.

Корреспондентъ въ спеціальной командировкѣ по недороднымъ мѣстностямъ: Сергѣй Печоринъ (С. А. Сафоновъ)

Постоянные собственные корреспонденты въ Вѣнѣ, Львовѣ, Варшавѣ, Софіи, Константинополѣ, Одессѣ и т. п.

(8—7)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 81 Юня 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“) გ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ა. ჯუნია